ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1312545

ნომერი: AR1226614

თარიღი : 05.06.2014

გაცემის თარიღი : 09.06.2014

გაცნობის თარიღი : 18.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გურამიშვილის გამზირსა და ქვიშხეთის ქუჩის გადაკვეთასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემურ ქურდაძე პ/ნ 01027020351
- თბილისი III მასივი ზემო პლატო კორ. 49 ბ. 26

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1226614 05.06.2014 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.12.08.007.042 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში, რომელიც ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"-ს მიხედვით წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ–საქმიანი ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, რეკომენდირებულია არა უმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის. (25.11.2011 N 12-55)

აღნიშნულ ზონაში ასევე დასაშვებია დანართით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია კ–1=0,7,
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტია კ–2=4.6,
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტია კ–3=0,1.

ვინაიდან წარმოდგენილი ზონისთვის 95 კვ.მ მიწის ნაკვეთი არის ფართობით მცირე, განსახილველად დამატებით უნდა წარმოადგინოთ საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი pdf ფაილი და არსებულ გარემოში საპროექტო ობიექტის განთავსების ფოტომონტაჟი. ამასთან, როგორც სამსახურის ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ფიქსირედება საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით #01.12.08.007.042 საზღვრების გადაფარვა მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან საკადასტრო კოდით #01.12.08.007.002. საკადასტრო მონაცემების გასასწორებლად უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სადაც უნდა წარადგინოთ თქვენი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსია (UTM კოორდინატთა სისტემაში). დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით ტერიტორიაზე განთავსებულია შენობა–ნაგებობა, რომელიც საკადასტრო გეგმაზე დატანილი არ არის, შესაბამისად მოთხოვნის ტექსტში უნდა დააკონკრეტოთ აპირებთ აღნიშნული ნაგებობის დემონტაჟს თუ გამიზნული გაქვთ რეკონსტრუქცია, რეკონსტრუქციის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ მისი მშენებლობის კანონიერი საფუძველი.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 05 ივნისს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 3 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 20 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 9 სამუშაო დღე. თუ განმცხადებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.